ა(ა)ი.პ „ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“-ს 2021 წლის მუშაობის ანგარიში

20 იანვარს მუზეუმში გაიმართა გასული წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს განხილვა.

იანვარ-თებერვლის თვეებში COVID - 19 ვირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო მუზეუმში მკაცრად იქნა დაცული სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილი რეგულაციები. საგანგებო რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით დაწესდა მორიგეობით მუშაობის გრაფიკი, ძირითადი აქტივობები განხორციელდა ონლაინ რეჟიმში.

21 იანვარს ნესტან გუგუშვილს მიეწოდა ფოტო მასალები სოფელ სხიერის „უძრავი მირიანეულის“ წმ. გორგის ეკლესიის შესახებ.

22 იანვარს ონის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელს გიორგი კობერიძეს მიეწოდა მასალები ონის „საჯანის კარის“ წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ.

24 იანვარს ახალგაზრდა მხატვარმა და პოეტმა ლიზი ბუდაღაშვილმა ციფრული მედია საშუალებით, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა ინტერვიუ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებთან (გია ბერიშვილი, დავით ჯაფარიძე) ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ისტორიასა და კოლექციებთან დაკავშირებით.

30 იანვარს ჟურნალისტმა ნინო ყიფიანმა, სოციალური ქსელის მეშვეობით გამოაქვეყნა თავისი წინაპრების ცნობილი ხვანჭკარელი სახელმწიფო მოღვაწისა და ღვინის მწარმოებლების თავადების ლუარსაბ ოტიასძე და მისი ვაჟის ლუარსაბ ლუასაბისძე ყიფიანების საოჯახო ფოტოები. ჩვენის მხრიდან მას მივაწოდეთ თავადი ყიფიანების გენეოლოგიური და ეპისტოლარული მასალები. დაიგეგმა სამომავლო თანამშროლმლობის გეგმები.

16 თებერვალს მუზეუმმა მოქალაქე ნინო ბერელიძისაგან შეისყიდა ეთნოგრაფიული ექსპონატები - გარმონი, დაირა.

19 თებერვალს, 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ონის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით დაიგეგმა ღონსძიება. აღნიშნულ ღონისძიებაში ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა გია ბერიშვილმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების წევრების წარმოშობით ონელი კონსტანტინე და სერგი ჯაფარიძეებისა და პავლე ბერიშვილის ღვაწლის შესახებ, საგანგებოდ იქნა ყურადღება გამახვილებული, თუ რა წვლილი შეიტანეს მათ კონსტიტუციის შემუშავება-შექმნაში. ონის საჯანის კარის გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი. მოვინახულეთ ონში მოედანზე დამფუძნებელი კრების წევრის პავლე ბერიშვილის მემორიალი.

25 თებერვალს საქართველოს რუსეთიის მიერ ოკუპაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობები. დილით ონის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ დაღუპულთა ხსოვნისათვის გადახდილ იქნა პანაშვილი, მოედანზე ყვავილებით იქნა შემკობილი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის, დამფუძნებელი კრების წევრის პავლე ბერიშვილი მემორიალი. კონფერენციაზე მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის გია ბერიშვილის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება წითელარმიელთა შემოსვლა მამისონის უღელტეხილზე და რაჭაში წარმოებული ბრძოლების შესახებ. მსმენელებს მკვლევარის მიერ მიეწოდა სრულიად ახალი ცნობები ოკუპაციასთან დაკავშირებით.

მარტის თვიდან მუზეუმში განახლდა ვიზიტორების მიღება მკაცრი რეგულაციების დაცვით.

9 მარტს მუზეუმში მოეწყო სხვადასხვა ავტორთა მიერ ავტოგრაფით ნაჩუქარი წიგნების პრეზენტაცია: 1. მაია პატარიძე, სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური, 2020 წ, 2. ოულონ გაგოშიძე, ტახტისძირის სამაროვნები, 2020წ.

15 მარტს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მხატვარმა მამუკა გონგაძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ჟურნალი „ჰეროლდი“ 2020 წ, #9.

23 მარტს მუზეუმს სტუმრობდა ისრაელის ელჩი საქართველოში რან გიდორი სტუმარი გაეცნო და დაათვალიერა სიძველეთსაცავში დაცული ონში მცხოვრებ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული სამუზეუმო ექსპონატები: მე-19 საუკუნის საღვთისმსახურო ებრაული ძველბეჭდური წიგნები, სხვადასხვა ნივთები, სამოსი, ფოტომასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები: მხატვარ გივი ფოჩხიძის კოლორიტი ებრაელის ყაზარიას ბიუსტი, ონში დაბადებული ცნობილი ებრაელი მხატვრის ანზორ შიმშილაშვილის თემატური ნამუშევრები ონელ ებრაელებზე: „ისრაელა“, „მლოცველი“, „ებრაელთა ქორწილი-ქეთუბა“. ონში დაბადებული მხატვრის ლევან შიმშილაშვილის „სიმონას“ პორტრეტი. ნაჩვენებ იქნა ცნობილი ქართველი რეჟისორის ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმი ონელ ებრაელებზე.

9 აპრილს ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები და ვოლონტერები ვიმყოფებოდით სოფელ წედისში. შევხვდით სოფლის მოსახლეობას. მოვინახულეთ და ყვავილებით შევამკვეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივნისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მდივნის, ქალბატონ ლალი მაისურაძის საფლავი. კიდევ ერთხელ გავიხსენეთ მის განვლილ ხანმოკლე გმირული, თავგანწირული ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული.

29 აპრილს მუზეუმმა უმასპინძლა ამბროლაურის კოლეჯ „ერქვანის“ მოსწავლეებს და პედაგოგებს. დააათვალიერეს მუზეუმი, გაეცვნენ სხვადასხვა სახის კოლექციქციებს. დისახა თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

6 მაისს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ქალბატონი მზია გიორგობიანი. მას თან ახლდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი გიორგი ბოცვაძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი გია სოსანიძე. შეხვედრაზე წარმოდგენილნი იყვნენ ონის მუნიციპალიტეტის მერი დავით ჩიკვაიძე, მოადგილე ეკა მაისურაძესთან ერთად. სტუმრებმა დაათვალიერეს სიძველეთსაცავი გაეცვნენ ჩვენს მუზეუმში დაცულ მრავალფეროვან კოლექციებს. მათი ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ახალი სამუზეუმო მშენებლობის პარალელურად დაიწყოს სამუზეუმო კონცეფციისა და მუზეოგრაფიული მიმართულებით სამუშაოების დაწყება, რისთვისაც მზაობა, მხარდაჭერა და დახმარება აღგვითქვეს.

6 მაისს მშენებარე მუზეუმის დასათვალიერებლად სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე მოადგილეებთან და თავისივე უწყების სამსახურების სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან, ჩვენი სამხარეო ადმინისტრაციისა და ონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად. მინისტრი გაეცნო არქიტექტურულ ნაგებობას, მშენებარე კომპანიის ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაიმართა საქმიანი საუბარი ნაგებობის დასრულების ოპტიმალურ ვადებზე.

15 მაისს მოეწყო ექსპედიცია სოფლებში: ირში, ჩორდში და ბაჯიხევში. ირში მოვინახულეთ სოფლის წმ. ადგილები მაისურაძეებისა და გაგნიძეების ე.წ. „ჭაბუკი“. მაისურაძეების „ჭაბუკის“ მიდამოებში დავაფიქსირეთ საჯილდაო ქვა და უსწორმასწორო ბრყელი ლოდი რომლის გარშემოც სხდებიან მაისურაძეები და ზეიმობენ „ჭაბუკობას“. ორივე გვარი ამ დღეობას აღნიშნავს აღდგომიდან მე-8 დღეს ორშაბათს. ძელი ჭეშმარიტის ახალაშენებულ სალოცავში დაცულია 10 საუკუნის უნიკალური კანკელის ფილა, ხალხში დაცული გადმოცემის თანახმად ხელოვნების ნიმუში გადმოტანილია ნასოფლარ ხვედიანის ეკლესიის ნანგრევებიდან. ძალზედ საინტერესოა ხვედიანის მიდამოები. თვალში საცემია ნანგრევებად ქცეული ეკლესიის მიდამოების ხილვა ეკლესიის იავარქმნილი კედლებიდან ამოზიდული საუკუნოვანი დიდრონი ხეები. ირში მხედველობის არეში ხვდება ბარიტის წარმოებასთან დაკავშირებული განადგურებული ინფრასტრუქტურა. დავაფიქსირეთ ხითხუროობი საინტერესო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სოფ. ჩორდში „ციხკისერის“ მიდამოედში ზედაპირულად ავკრიფეთ სხვადასხვა პერიოდის კერამიკული ნატეხები. ბაჯიხევის მისადგომებთან მოვინახულეთ მეწყერის პერიმეტრი და ჰიდროელექტრო სადგურისათვის მშენებარე ნაგებობები.

17 მაისს მუზემში სტუმრად იმყოფებოდნენ თავისუფალი უნივერსიტეტის ლექტორი ირენა პოპიაშვილი უცხოელ და ქართველ ხელოვნებათმცოდნეებთან ერთად. დაათვალიერეს მუზეუმის ექსპოზიზია და ფონსაცავი, საპატიო სტუმრები მოიხიბლენ სიძველეთსაცავის მრავალფეროვანი კოლექციებით.

22 მაისს 20-00 საათზე მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით და ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ორგანიზებით მოეწყო ორენოვანი წიგნის ონლაინ წარდგენა - “ლითონმქანდაკებლობის ისტორიისათვის წინაქრისტიანულ საქართველოში (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საგანძურის კვალდაკვალ)”/To the History of Metalworking in Pre-Christian Georgia (Following the Treasure Preserved in Oni Local Lore

Museum).თბილისი,2019.Tbilisi. წიგნი წარადგინა ავტორმა, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, მარიამ გაბაშვილმა.

4 ივნისს საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის (SOVLAB) მეცნიერ-თანამშრომლებმა ირაკლი და დავით ხვადაგიანებმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცეს მათი თანაავტორობით გამოცემული წიგნები: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონტროლი, 2020 წ. 2) ქალაქი, საქალაქო თვითმმართველობა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921 წლებში. 2021 წ.

11 ივნისს „გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრმა ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა 1. 15 ერთეული, წიგნი-ალბომი „ოთარ ჯაფარიძე 100“. 2. წიგნი „XX საუკუნის ქართული პროფესიული დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნება.

2 ივლისს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდა მწერალი ლევან ბერიძე, დავათვალიერებინეთ და გავაცანით მუზეუმის კოლექციები, მივაწოდეთ მისთვის საინტერესო სხვადასხვა მასალები.

7 ივლისს მუზეუმის თანამშრომლები ვიმყოფებოდით მიწვევით ქალაქ ვანში ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის განახლებულ თანამედროვე სტანდარტების არქეოლოგიურ მუზეუმში გამოფენაზე იტალიიდან პომპეის არქეოლოგიური პარკიდან ჩამოტანილი გამოფენის - „სიცოცხლე და სიკვდილი- დიდებული პომპეის“-ს სახილველად, დავათვალიერეთ და გავეცანით ფანტასტიკურ მუზეუმი: ექსპოზიციები, ფონდსაცავები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა.

20 ივლისს მუზეუმში იმყოფებოდნენ ტელეკომპანია სილქ უნივერსალის წარმომადგენლები, მოახდინეს საექსპოზიციო სივრცეებისა და ფონდების გადაღება ჩაწერეს მუზეუმის დირექტორი ამირან კერესელიძე და წამყვანი მეცნიერ თანამშრომლები.

29 ივლისს მუზეუმის წამყვანმა მეცნიერთანამშრომელმა გია ბერიშვილმა მიაწოდათ მასალები ონის მეორე საშუალო სკოლის ისტორიის შესახებ ამავე სკოლის სამართალ მემკვიდრე საჯარო სკოლის პედაგოგებს.

8 აგვისტოს მუზეუმს სტუმრობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალისტები დავათვალიერებინეთ მუზეუმის ფონდები, დაისახა თანამშრომლობის გეგმები.

საქართველოს სამუზეუმო ასოციაცია ევროპის სამუზეუმო ორგანიზაციების ქსელისა (NEMO) და ნიდერლანდების კულტურის მენეჯმენტის აკადემაისთან პარტნიორობით ახორციელებენ პროექტს „BE MUSEUMER˜. საქართველოს მუზეუმებიდან შერჩეულ იქნა 11 მუზეუმი მათ შორის ონის მხაეთმცოდნეობის მუზეუმი. პროექტის ფარგლებში 16-20 აგვისტოს ჩვენს მუზეუმში მოვლინებული იყვნენ ელინა ვალაიტე და მარიამ ჩხეიძე მათ ჩაატარეს ჩაღრმავებული კვლევა როგორც მუზეუმის თანამშრომლებთან ასევე მოქალაქეებთან მუზეუმთან დაკავშირებით.

სტუმრებს დვათვალიერებინეთ რაჭის მატერიალური კულტურის ძეგლები: სორის, ბარაკონის, ზემო კრიხის, ნიკორწმინდის, პატარა ონის, ბუგეულის ეკლესიები.

24 აგვისტოს სიძველეთა მოყვარულს არჩილ მაისურაძეს გაეწია კონსულტაციები რაჭის ეკლესიებზე და ციხეებზე.

1 სექტემბერს მოეწყო ექსპედიცია მუზეუმის თანამშრომლებისა და ვოლონტერების აქტიური ჩართულობით სოფ. შეუბნის სინაწმინდის ეკლესიაზე და სოფელ ნაკიეთში. სოფელ ლაგვანთიდან სინაწმინდამდე მიმავალ ახალგაჭრილ გზაზე ჩატარდა არქეოლოგიული დაზვერვითი სამუშაოები, დავათვალიერეთ ქვის კარიერები. დავაფიქსირეთ ნანგრევებად ქცეული სინაწმინდის ეკლესია რომლის აღდგენაც სურს სოფელს. ჩრდილ ნაკიეთში ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია სწორედ იმ მიდამოებში სადაც 1985 წელს ბალთების აღმოჩენის ფაქტი დაფიქსირდა.

3 სექტემბერს მუზეუმს სტუმრობდა ტელეკომპანია პოსტ ტივის ჟურნალისტები მათ ინტერესს წარმოადგენდა სტალინის მოგზაურობის შესახებ რაჭაში. მიეწოდათ ინფორმაცია, მოხდა გადაღება და ჩაწერა მუზეუმის დირექტორის ამირან კერესელიძის და წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის გია ბერიშვილის.

9 სექტემბერს მოეწყო ექსპედიცია სოფლებში ნიკორწმინდაში, აგარაში, თლუღში. ნიკორწმინდის ეკლესიის მონახულების შემდეგ. დავათვალიერეთ აგარის წმ. გიორგის ეკლესია და სასაფლაო, დავაფიქსირეთ 19 საუკუნის ბრინჯაოს ზარი და ამავე პერიოდის ძველი საფლავის ქვები ეპიტაფიებით გამშვენებული. სოფელ თლუღში მოვინახულეთ „ტეხისას“ წმ. გიორგის ეკლესია, „ქვასიპას“ შესანიშნავი წყარო. არქეოლოგიურად ძალზედ საინტერსო ლოკაცია „ოლანი“, დავათვალიერეთ „კიდობანას“ შთამბეჭდავი მღვიმე და მახლობლად ბორცვზე არსებული ეკლესიის ნანგრევები. მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ვოლონტერები, ილიაუნის პროფესორი, ბიბლეისტი, ფილოლოგი ბატონი ზურაბ კიკნაძე, სოფ. თლუღში მეგზურობა და მასპინძლობა გაგვიწია ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ქალბატონმა მაია პატარიძემ.

10 სექტემბერს მუზეუმს სტუმრობდა გეოლოგი ზაზა ლებანიძე მან დაათვალიერა ბოლო წლებში მუზეუმში შემოსული გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნიმუშები. გაგვიარეთ მასთან კონსულტაციები. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

13 სექტემბერს ვოლონტერების მამუკა რაზმაძისა და ნინო კირვალიძის მონდომებითა და ძალისხმევით მუზეუმის თანამშრომლები ვიმყოფებოდით ექსპედიციაში სოფ. თლუღში. მოვინახულეთ „ტეხისას“ წმ. გიორგის ეკლესია დავათვალიერეთ „საკიშორესა“ და „კიდობანას“ ძალზედ საინტერესო მღვიმეები, ადგილობრივების დახმარების მოვიხილეთ ნასოფლარ შაორის მიდამოები ჭიჭინაძეების უბანი. მათ დაგვანახეს ადგილი „საჯვარე“ სადაც იდგა ძალზედ საინტერესო ეკლესია. ტაძრის ნანგრევებში მოპოვებული იქნა 10 საუკუნის კანკელი, ეს კანკელი სალხინოს ეკლესიის კანკელად ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში, რომლის ფრაგმენტებიც ჩვენს მუზეუმშიდაც არის დაცული.

15 სექტემბერს მოეწყო ექსპედიცია სოფ. ნაკიეთში ადგილ „პატარღმაულში“ მეგზურობა გაგვიწია სოფლის მკვიდრმა გოჩა ჩალაძემ, რომელმაც 1985 წელს გზის გაყვანის დროს ნახა გვიანი ანტიკური ხანის ბრინჯაოს ჭვირული რიტუალური ქამრის აბზინდები. მან ზუსტად მიგვითითა ის ლოკაცია. ჩვენის მხრიდან მონიშნულ იქნა ეს ადგილი. მადლიერების ნიშნად მუზეუმის ადმინისტრაციამ გოჩა ჩალაძეს საჩუქრად გადასცა ონის მუზეუმის მეგზური და არქეოლოგიური მხატვრული ნიმუშების კატალოგი.

21 სექტემბერს მუზეუმში ვიზიტით იმყოფებობა შვეიცარიის ბერნის უნივერსიტეტის დოქტორანტი თამარ დემურიშვილი. რომელიც პროექტის ფარგლებში ახორციელებს კვლევებს მუზეუმებთან დაკავშირებით. კითხვა-პასუხის რეჟიმში მოხდა მუზეუმის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის გია ბერიშვილის ჩაწერა.

22 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ქართველი მეცნიერის, ორიენტალისტისა და ისტორიკოსის გოჩა ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი „საისტორიო კრებულის“ მერვე ტომის პრეზენტაცია. კრებულში შესულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წამყვანი მეცნიერთანამშრომლების გია ბერიშვილისა და დავით ჯაფარიძის მოგონება გოჩა ჯაფარიძის შესახებ.

25 სექტემბერს მუზეუმს სტუმრობდნენ სოფ. ხვანჭკარის მარნის მენეჯერი საპატიო სტუმრებთან ერთად. მათ დაათვალიერეს მუზეუმი გაეცვნენ კოლექციებს. ბატონმა დავითმა გამოხატა მზაობა ითანამშრომლოს მუზეუმთან. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გარკვეული გეგმები.

7 ოქტომბერს ნატო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთში ქალბატონმა თამარ გოგოლაძემ ონლაინ რეჟიმში წაგვიკითხა ონის მუზეუმის თანამშრომლებს ლექცია, ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის (NATO) შესახებ. დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

10 ოქტომბერს ონის მუზეუმის თანამშრომლები ვიმყოფებოდით ექსპედიციაში დავლაშქრეთ ძნელად მისასვლელი ადგილი „ცხრაჯვარი“ თვალი მოვავლეთ რაჭა-იმერეთის თვალწარმტაც ბუნებას. გზად ნიკორწმნდის ეკლესიაც დავათვალიერეთ, მოვინახულეთ ნიკორწმინდის საყინულე და ახლად აღდგენილი ჭელიშის უდაბნო. ბუგეულში დავათვალიერეთ გვიანი შუასაუკუნეების ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესია ინტერიერში არსებული შესანიშნავი ფრესკები.

15 ოქტომბერს რიჩარდ ბერეგმა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ინგლისურ ენიაზე თავისი გამოცებული წიგნი სვანეთი. სადაც რაჭაზედაც და ონის მუზეუმზეც არის მცირე ინფორმაცია.

27 ოქტომბერს ვონონტერ მამუკა რაზმაძის დახმარებით მოეწყო ექპედიცია თევრეშოში. მუზეუმის თანამშრომლებმა მოვინახულეთ მდ. ფორხიშულზე აშენებული მიკრო ჰესი, დავზვერეთ მდინარე ბერალიდან წყლის შემკრები ავზიდან მომავალი მილისათვის გათრილი ადგილები.

4 ნოემბერს ონის მუზეუმის ადმინისტრაციასა და ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს შორის შედგა სატელეფონო კომუნიკაცია. ბატონი დავითის ძალისხმევით მოძიებულ იქნა უცხოელი სპონსორისაგან გარკვეული ფინანსური რესურსები, რაც მოხმარდება პირველ ეტაპზე ონში ახალმშენებარე მუზეუმისათვის შიდა სივრცითი მოწყობის სამუშაოების დასაწყებად.

12 ნოემბერს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა მაია პატარიძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა გელა გამყრელიძის წიგნი საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები, 2021 წ.

12-16 ნოენბერს მუზეუმში მივლინებით იმყოფებოდნენ ეროვნული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები მათ მიზანს წარმოადგენდა ახალ მუზეუმში მუზეოგრაფიოლი პროექტის მომზადებისათვის ფონდების დათვალიერება და საუკეთესო ექსპონატების შერჩევა. ოთხი დღის ინტენსიური მუშაობის შედეგად გადაირჩა ერთი ნაწილი ჩვენი მუზეუმის ექსპონატები.

16 ნოემბერს მუზეუმს სტუმრობდა იაპონიის ელჩი იმამურა აკირა ადგილობრივ და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად. სტუმარმა დაათვალიერა მუზეუმი გაეცნო კოლექციებს.

23 ნოემბერს მუზეუმის თანამშრომლებმა ვოლონტერებთან ერთად მოევაწვეთ ექსპედიცია სოფ. სევაში და ჯოისუბანში. არქეოლოგიური თვალსაზრისით დავზვერეთ გორიმოს ციხის შემოგარენი. ავკრიფეთ ანტიკური ხანის კერამიკული ნამტრევები. დავათვალიერეთ გორიმოს ციხი ნანგრევები და ჯოისუბნის „მცხეთის“ წმ. გიორგის ეკლესია.

26 ნოემბერს მუზეუმში სტუმრად იმყოფებოდნენ „ებრაული სახლის“ წარმომადგენლები მუზეუმში მათ გადაიღეს ებრაულ თემასთან დაკავშირებული ექსპონატები.

27 ნოემბერს ვოლონტერ სულხან მეტრეველის დახმარებით მუზეუმის თანამშრომლებმა ვოლონტერთან ერთად მოვაწყვეთ არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია სოფ. ბოსტანაში სულხანისავე ახალგაშენებულ ვენახში. ზედაპირულად მოვიძიეთ ვერცხლის ბალთა.

28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე მივლინებული იყო ქ. თბილისში ეროვნულ მუზეუმში არქეოლოგიურ ფობდსაცავში ონის მუზეუმის მევნიერ ნათამშრომელი დავით ჯაფარიძე. 10 დღის განმავლობაში დაეცნო ეროვნულ მუზეუმში დაცულ რაჭის არქეოლოგიურ კულტურულ მემკვიდრეობას ეროვნული მუზეუმის კვალიფიციურ მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით შერჩეულ იქნა არტეფაქტები ონში ახალ მშენებარე მუზეუმის საექსპოზიციო სივრცისათვის.

9 დეკემბერს ეროვნული მუეუმის თანამშრომლებსა და ფრანგულ არქიტექტურულ კომპანია „მილუს“ ხელმძღვანელს ჟან ფრანსუა მილუს შორის შედგა რამოდენიმე საათიანი საქმიანი და ნაყოფიერი ონლაი საუბარი. ჩვენმა კოლეგებმა დიზაინერს აჩვენეს ის მასალები კოლექციები რომლის გამოფენაც იგეგმება ჩვენს მუზეუმში. კომპანიამ გამოხატა მზაობა და აქტიური ჩართულობა შიდა სივრცითი მოწყობის (მუზეოგრაფიის) პროექტის შემუშავების საქმეში.

17 დეკემბერს მუზეოგრაფიული პროექტის შესაქმნელად ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს სოფო ებრალიძესა და ფრიდონ ლობჯანიძეს მიეწოდათ ციფრული ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალები რაჭის ციხე-სიმაგრეებზე, ეკლესია-მონასტრებზე, ფრესკულ მხატვრობაზე, ფოლკლორზე, ჭედურობის ნიმუშებზე და ა.შ.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ითანამშრომლა, როგორც ჩვენი ქვეყნის ასევე უცხოელ მეცნიერებთან, მკვლევარებთან, სტუდენტებთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, ვოლონტერებთან.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ჩვენი კუთხის ისტორიის, ხუროთმოძღვრული ძეგლების, არქეოლოგიური აღმოჩენების, სხვადასხვა ფილმების, ფოლკლორული ვიდეო და აუდიო მასალებისა და სპეციალურად შექმნილი სიუჟეტების ჩვენება ვიზიტორებისათვის.

მუზეუმმა უმასპინძლა როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ 1000 ვიზიტორს.

მუზეუმის დირექტორი: /ამირან კერესელიძე/